№ 6

ხუთშაბათი, 23 იანვარი 1897 წ.

1877—1897

# ივერია

№ 6

ხუთშაბათი, 23 იანვარი 1897 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვ. | მან. | კ. | თვ. | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

## „ივერია"

გამოვა 1897 წელს

იმავე პროგრამმით, როგორც წინად.

ფასი გაზეთისა:

| | მ. | კ. | | მ. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 11 თვით და 13 დღით | 9 | 60 | 6 „ | 6 | „ |
| 11 „ | 9 | 50 | 5 „ | 5 | 50 |
| 10 „ | 8 | 75 | 4 „ | 4 | 75 |
| 9 „ | 8 | „ | 3 „ | 3 | 50 |
| 8 „ | 7 | 25 | 2 „ | 2 | 75 |
| 7 „ | 6 | 50 | 1 „ | 1 | 50 |

საზღვარ-გარეთ დაბარებული 1898 წლის 1 იანვრამდე ღირება 17 მ.

ტფილისს გარეთ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Редакція „Иверія".

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „ივერიის" რედაქციაში, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21 და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების" კანცელარიაში, სასახლის ქუჩა, ქართვ. თავად აზნაურთა ქარვასლაში.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდამ სხვა ადგილს გადავიდა სადმე ქალაქს გარედვე—ორი შაური.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდამ, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს.

### 1896 წლის ხელის-მომწერთა საყურადღებოდ.

ვისაც გაზეთი დაბარებული ჰქონდა 1896 წელს მთელის წლით, თუ ჰსურთ 1898 წლის პირველ იანვრამდე მიიღონ გაზეთი, უნდა წარმოადგინონ ოთხის თვის ფასი—3 მან. და 33 კაპ. (კაპეიკების მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკები გამოიგზავნოს). ხოლო ვისაც არა ჰსურს, იმას მიუვა გაზეთი შვიდის თვისა და ცამეტის დღის განმავლობაში 17 იანვრიდამ.

ვისაც 1896 წელში დაბარებული ჰქონდა გაზეთი რამდენისამე თვით იმათ შეუსრულდებათ დანაკლისი ნომრები 17 იანვრიდამ.

---

ამ მომდინარე 1897 წლისთვის

მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ გაზეთ

## „ცნობის ფურცელზედ"

ვინც წლიურად დაიკვეთავს გაზეთს, მას მიუვა მუქთად 1897 წლის დიდი „საქართველოს კალენდარი", შედგენილი გალ. ბუნიას მიერ.

**გაზეთის ფასი:** ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან., ერთის თვით 60 კაპ.

სხვა ვადით გაზეთის დაკვეთა არ შეიძლება.

თითო ნომერი ღირს ყველგან 3 კაპ.

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კაპ.

იმ ხელის მომწერთა, რომელთაც წლიურის ფასის ერთბაშად შემოტანა გაუძნელდებათ, რედაქცია შეღავათს აძლევს: ხელის მოწერის დროს 2 მანათი წარმოადგინონ და მერმე ყოველ თვე-და-თვე თითო მანათი, ვიდრე 6 მანათს შეასრულებდნენ.

ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, Фрейлинская, № 13.

Редакція „Цнобисъ Пурцели".

---

**ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1897 ГОДЪ**

НА ЕЖЕДНЕВНУЮ ПОЛИТ. И ЛИТЕРАТУРНУЮ ГАЗЕТУ

## „Новое Обозрѣніе"

(четырнадцатый годъ изданія)

Въ 1897 г. „Новое Обозрѣніе" будетъ выходить **въ Тифлисѣ**, какъ и въ прошлые годы ежедневно, по программѣ большихъ столичныхъ газетъ.

**Условія подписки:** съ пересылкою и доставкою: на годъ—**10 р.** на полгода—**6. р.**, на три мѣсяца—**3 р., 50 к.**, на одинъ мѣсяцъ **1р 50 к.**, **За границу:** на годъ—**17 р.**, на полгода—**9 р.**, на три мѣсяца—**5 р.**, (Подписка принимается не иначе какъ считая съ перваго числа любого мѣсяца) Для сельскихъ учителей льгота: подписная цѣна на годъ—**7 р.**, полгода—**4 р.**

**Для годовыхъ подписчиковъ**, какъ городскихъ, такъ и иногородныхъ, обращающихся непосредственно въ контору редакціи, **ДОПУСКАЕТСЯ РАЗСРОЧКА** на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится 3 р., къ 1-му марта—2 р., къ первому мая—3 р. и къ 1-му сентября—2 р.,

Подписка и объявленіе принимаются **ВЪ ТИФЛИСѢ: въ конторѣ газеты**, Барятинская ул. № 8.

Иногородные адресуютъ свои требованія: **Въ Тифлисъ, въ редакцію „Новаго Обозрѣнія"**

(3.—მ.—2)

ექიმი

**გიორგი გადრიძე**

იღებს ავადმყოფებს 12—2 სათ.

სვიმონოვის ქუჩა, № 8

(5—1460—3)

---

## ახალი ამბავი

*** დღეს, 23 იანვარს, განსვენებულის გრაფინია ს. დ. ტატიშჩევის, კავკასიის მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელის მეუღლის ცხედარს პანაშვიდის გადასახდელად სამხედრო საკრებულო ტაძარში გამოასვენებენ და შემდეგ მოსკოვში წაასვენებენ დასაკრძალავად.

*** თავად-აზნაურთა საადგილ მამულო ბანკს მოუვიდა ფინანსთა სამინისტროსაგან ქაღალდი იმის შესახებ, რომ ბ-ნს მინისტრს შეუწნარებია თხოვნა ამ ჩვენის ბანკის გამგეობისა, რომ სოფლის მამულების დაფასება ისევ უწინდელ წესზე დარჩეს, ესე იგი, წლის შემოსავალი მამულისა 6°/₀ იყოს მიჩნეული და არა 7°/₀, როგორც შარშან აპრილში მოწერილი იყო ბ-ნ მინისტრის მიერ. ხოლო ქალაქის მამულების დაფასების შესახებ ბ-ნს მინისტრს უბრძანებია ეუწყოს გამგეობას, რომ იხელმძღვანელოს ის დადგინებანი, რაც ბ-ნს მინისტრს მოუწერია გამგეობისათვის შარშან აპრილს.

*** თავად-აზნაურთა კამისიამ, რომელსაც ახალ კამისიის დანიშვნის დრომდე ჩაბარებული ჰქონდა გამგეობა თავად-აზნაურთა ქარვასლისა, გამოაცხადა ორის წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიში ქარვასლისა. ამ ანგარიშიდამა სჩანს, რომ 1895 წ. კამისიას შემოსავალი ჰქონია 57,158 მანეთი და 30 კაპ. აქედამ ბანკის ვალის გადასახდელად გასულა 39,100 მანეთი და ამას გარდა სხვა-და-სხვა ხარჯი ჰქონია 15,058 მანეთი და 85 კაპ. და სულ ხარჯი 54,097 მან. და 85 კაპ. პირველ იანვრისათვის 1896 წლისა დარჩენია 3,060 მანეთი და 49 კაპ. მისაცემს დარჩენილა 5013 მან. და 49 კაპ. ქირები ასაღები ყოფილა 1896 წ. პირველ იანვრამდე 5,964 მან. და 96 კაპ.

1896 წ. შემოსავალი ჰქონია 68,359 მანეთი და 61 კაპ.; ამას რომ მიემატოს ის 3060 მანეთი და 45 კაპ., რომელიც გადარჩა 1895 წლის ხარჯსა, შემოსავალი 1896 წლისა შესდგება სულ 71,200 მანეთი და 6 კაპ. აქედამ ჩვენს ბანკში შეუტანიათ 44,146 მანეთი და 74 კაპ. და სხვა-და-სხვა ხარჯი ყოფილა 19,557 მანეთი და 31 კაპ. და სულ ხარჯად გასულა 63,704 მან. და 5 კაპ. 1897 წლის პირველ იანვრამდე შემოსავლიდამ დარჩენილა 7,716 მან. და 1 კაპ., აქედამ სათავად-აზნაურო სკოლისათვის უსესხებიათ 5000 მან. ქირებია შემოსასვლელი 1,418 მან. და 13 კაპ.

*** როგორც გვაუწყებენ, ახლად მიცვალებულ დეკანოზ დავით ჰრელაშვილის გვამს გამოასვენებენ მისის სახლიდგან, 22 იანვრის ნაცვლად, 24 იანვარს, ნაშუადღევის პირველს საათზედ, ხოლო დაჰკრძალავენ 25 რიცხვს ამავე თვისას.

*** როგორც გაზ. „კავკაზი" იუწყება, ამ დღეებში კავკასიის რკინის გზის გამგეობა პეტერბურგში ცნობებსა ჰგზავნის ბორჯომიდამ ცაგერამდის და ბაკურიანამდის რკინის გზის ვიწრო ლიანდაგის გაყვანის შესახებ.

*** როგორც მკითხველებმა უწყიან, შორაპნის მაზრაში შავი-ქვის წარმოება, ეს რამდენიმე ხანია, შეჩერებული იყო და დამზადებული შავი-ქვაც პატრონებს გაუსყიდველი ეწყოთ ჭიათურასა, შორაპანსა, ზესტაფონსა, ფოთში და სხვაგან. ამ მოვლენის მიზეზი, სხვა მრავალ თვალ-საჩინო მიზეზთა შორის, ფოთიდგან და ბათუმიდგან გემებით ევროპაში შავი-ქვის გადატანის ერთობ დიდი ქირა იყო. უკანასკნელ ხანებში გემების პატრონებმა ქირას დაუკლეს და ჩვენს შავი-ქვის მწარმოებლებსაც რამოდენადმე საშუალება მიეცა თავიანთის საქონლის გაყიდვისა. როგორც გაზ. „კავკაზი" გვაუწყებს, ამ დღეებში ფოთს ერთბაშად ცხრა გემი მოაწყდა შავი-ქვის წასაღებად, მაგრამ უბედურება, ის არის, რომ ფოთის საწყობიდგან ნავთ-სადგურამდის შავი-ქვის გადასატანად ვაგონები შემოჰკლებიათ. შავი-ქვის პატრონებს პეტერბურგს მიუმართავთ თხოვნით, გვიშველეთ რამეო. ამ თხოვნისთვის ყურადღება მიუქცევიათ და გარდაუწყვეტიათ, სამის დღის განმავლობაში მთხოვნელთ დაეთმოთ დღეში 45 ვაგონი, რაიცა საკმაო არ იქნება, „კავკაზის" აზრით, გემების დროზე დასატვირთად, რადგან ფოთის ნავთ-საყუდელში ერთსა და იმავე დროს სამს გემზედ მეტი არ დაიტვირთება სივიწროის გამოო.

*** ამ ჟამად ტფილისში იმყოფება განჯის გუბერნატორი გენ.-ლეიტენანტი თავადი ნაკაშიძე.

*** „რუსეთის ხალხის ჯანმრთელობის დამცველ საზოგადოების" წევრი ბ-ნი რადეცკი, რომელიც აგრეთვე „ს.-პეტერბურგის ყრმათა აღზრდის ხელის შემწყობ საზოგადოების" საპატიო წევრია, ამ ჟამად ტფილისში იმყოფება და შაბათს, 25 იანვარს, „კრუჟოკში" ლექციას წაიკითხავს მოზარდ ყრმათა ფიზიკურად აღზრდის შესახებ.

*** 21 იანვარს, საღამოს ექვს საათზედ, ფოთიდგან ორის ვერსის მანძილზედ ფოთის ქვეითა რაზმის ჯარის კაცს, სტავროპოლის გუბერნიისა და იმავე მაზრის მცხოვრებელს კანრატი სელემენოვს რკინის გზის ლიანდაგზედ გადასვლის დროს წამოსწევია მატარებელი, და ქვეშ მოუტანია. დიდად დაშავებული სელემონოვი ძლივს გადაარჩინეს გასრესას და ცოცხალ-მკვდარი გაისტუმრეს ფოთის სამხედრო სამკურნალოში.

*** „ტერსკ. ვედ." გვაუწყებს, რომ 15 იანვარს რკინის გზით კავკავში მისულან პენზისა და ტამბოვის გუბერნიებიდგან გადმოსახლებული ხალხი. ეს ხალხი კავკავიდგან აქეთ აპირებს თურმე გამომგზავრებას სახელმწიფო ადგილებზე დასასახლებლად, რომელიც, როგორც თითონ ამბობენ, ხაზინამ უსასყიდლოდ უნდა დაუთმოსო. როგორც ხსენებული გაზეთი ამბობს, ამ გადმოსახლებულთა მდგომარეობა თურმე შესაბრალისია: გადმოსახლებულთ სრულიად არა აქვთ-რა და გზადაც კი თავს მათხოვრობით ირჩენენო.

*** გაზ. „ნოვ. ობოზ". ატყობინებენ, რომ კავკავის რკინის გზის საზოგადოების თხოვნა, ყიზლიარამდის რკინის გზის შტოს გაყვანის შესახებ რკინის გზათა დეპარტამენტს უკვე განუხილავს და შეუწყნარებია.

---

## დამკვირდი

თუ თქვენ ფიანდაზად ფეხ ქვეშ ეგებით დიდებს და დიდგულად ეპყრობით მცირეთა; თუ უფრო გიყვართ ყოფნა სულელთა საზოგადოებაში, სადაც თქვენ ხართ პირველობთ, ვიდრე იგი წრე, სადაც შესაძლოა ისწავლოთ რამ; თუ პირფერობა და პირში ლაქუცი უფრო მოგწონთ, ვიდრე ღირსეულად თავის-შერა და პატიოსნური გულ-ახდილობა; თუ შეუბრალებლად ექცევით პირუტყვს და თქვენის მზგავსის სულიერისათვის გულ მტკივნეულობა არა გაქვთ და თან თქვენი ქცევა მისდამი იცვლება იმისდა გვარად დიდია თუ მცირე; თუ სხვისი კარგი და პატიოსანი მოქმედება შეიტყეთ და ის სიხარული არ იგრძენით, რომელიც ძარღვებში სისხლს ათბობს ადამიანისას და თვალში ცრემლს ჰგვრის—ყოველი ეს უტყუარი ნიშანია, რომ თქვენი გული ქვაა და თქვენი სული უღირსად პატივ-მოყვარე,

ვეისი.

**

თუ გგონიათ, რომ ცოლ-შვილური სიყვარული უფრო დიდია სამშობლო სიყვარულზე, მაშ მამას სახლისას ნება ექმნება თოფ-იარაღი დაჰყაროს მამულისთვის ომის დროს და გამოიქცეს ცოლ-შვილის საშველად. ანუ იმავე მამას, რომელსაც, ვთქვათ, აბარია საზოგადო ხაზინა, ნება ექმნება გაძარცოს ეს ხაზინა, რომ გამოჰკვებოს ნაძარცვით თავისი ცოლ-შვილი, რადგანაც ამ მოქმედებით იგი აზარალებს იმას, რაც

ნაკლებ უყვარს, იმის გულისათვის, რაც უყვარს მეტად.

ჰელვეცი.

**

თუ მოსვენებას არ გაძლევს შენის მეტოქის სახელოვანება,ეცადე იმას აჯობო საქმით და მაშინ შენ სამაგიეროს გადაუხდი იმისას, რომ შენ მოსვენება წაგართვა მისმა სიკეთემ.

ვოლტერი.

## ქალაქის მომავალ არჩევანთა გამო.

(წერილი რედაქციის მიმართ).

ამ წლის მაისში ტფილისმა უნდა აირჩიოს ოთხის წლის ვადით ქალაქის საბჭოს ახალი ხმოსნები. ჩვენის ქალაქის მკვიდრნი ემდურებოდნენ და ემდურიან ეხლანდელს საბჭოს და ქალაქის გამგეობას, რომ ერთიცა და მეორეც ქალაქის ინტერესებისათვის ძალიან ცოტასა ჰზრუნავსო, ქალაქის ბედ-იღბალი ღვთის ანაბარად არის მიტოვებული, საბჭოს ხმოსნები მარტო ლაპარაკსა და ერთი მეორის კიცხვა-კილვას უნდებიან, გამგეობის წევრნი მხოლოდ საკანცელარიო ჩხირ-კედელაობას აკვლენ მთელს თავიანთს ძალსა და ღონესო და სხ. თუ ეს სამდურავი საფუძვლიანია, ვინ არის აქ დამნაშავე? რა თქმა უნდა, თვით ხმოსანთა ამომრჩევლები! ამ უკანასკნელთ ან ამორჩევა არა სცოდნიათ, თორემ ამოდენ ქალაქს როგორ დაელეოდა მხნე და გამჭრიახე კაცები, ან გულ-წრფელად არ მოჰკიდებიან ამ მძიმე საქმეს. რაც იყო, იყო; წარსულს ვეღარავინ მოაბრუნებს; მკვდარი მკვდრებს უნდა დავუტევოთ დასამარხად და ცოცხლებმა ცოცხლებისათვის ვიზრუნოთ. ეხლანდელი საბჭო ჯერ თუ სულ არ მომკვდარა, ცალი ფეხი მაინც სამარეში უდგია; დღეს თუ ხვალ სულს დალევს და ჩვენც საბჭოს განახლების ფიქრსა და ზრუნვას უნდა შევუდგეთ.

1893 წლის არჩევანები ერთობ ცალკერძი იყო; მაშინდელს არჩევნებში ქალაქის მკვიდრთა მარტო ერთს ნაწილს ჩაჰბარდა ქალაქის თვით მმართველობის საქმეები განსაგებად. დანარჩენები და მათშორის ჩვენც, ქართველები, განზედ გავუდგებით ამ საერთო საქალაქო საქმეს და არავითარი მონაწილეობა არ მივიღეთ. ესეც რასაკვირველია, ჩვენის უთავბოლობით მოგვივიდა. მაგრამ წამხდარ საქმეს რაღა ეშველება? ქართველები ხომ მათხოვრობას ვართ ჩვეულნი, მაშინაც ასე მოგვივიდა: გვეგონა, ჩვენს მაგიერ ჩვენთვის სხვები იზრუნებდნენ და 400 მეტი ამომრჩეველთაგან მარტო 120 გავგზავნეთ არჩევანებზედ. გლახაკთათვის ყოველთვის მოწყალებას არავინ გაიმეტებს და აი, ჩვენ შესახებაც ასე გულცივად მოიქცნენ მაშინ.

წრევანდელ არჩევნების დროსაც რომ იგივე საქმე არ მოგვივიდეს, ჩვენთვის ჩვენვე უნდა ვიზრუნოთ. ტფილისში სულ 3,000-ი ამომრჩეველია; ამ რიცხვში სომეხია 1,500, ქართველი 600 და დანაშთენი 900-ს შეადგენენ რუსები, პოლონელები, თათრები, გერმანელები და სხ. რა თქმა უნდა, 600 ხმა 3,000-ში თუმცა შესამჩნევს ძალას არ წარმოადგენს, მაგრამ არც ისე მცირედია, რომ, თუ კი ყველანი—ექვსასივენი არჩევანზედ მივლენ, თავიანთი თავი სხვებს ადვილად დააჩაგვრინონ და თავიანთი ვერ გაიყვანონ. ჩვენ ამით იმისი თქმა-კი არ გვინდა, რომ მარტო ჩვენ ვიყოთ და სხვები ნუ იქნებიანო. არა, ღმერთმა გვაშოროს ამისანა აზრს! ჩვენი აზრი მხოლოდ ის არის, რომ ჩვენს დედა ქალაქში ჩვენც გვქონდეს ხმა და მონაწილეობა. გარდა ამისა, რომ ტფილისში რამდენიმე ათიათასი ქართველი სცხოვრობს, ისიც საგულისხმოა, რომ მთელს ტფილისის გუბერნიის მკვიდრთ ტფილისთან საალებ მიცემო დამოკიდებულება აქვს და თავისიანებისათვის ვის შესტკივა ისე გული, როგორც თავისიანებს. ამასთანავე, თუ ქალაქის ყველა მკვიდრთა შორის, ეროვნებისა და სარწმუნოების განურჩევლად იქნებიან ხმოსნები არჩეულნი, რა თქმა უნდა, ღირსეულნიც ბევრი გამოჩნდებიან და ამოდენა ქალაქს, როგორიც ტფილისია, რომლის ხარჯთ-აღრიცხვაც წელიწადში მილიონს აღემატება, უფრო მეტი პატრონობა ექნება, ვიდრე ეხლა აქვს.

ჩვენ ჩვენს საცდელს ნუ დავაკლებთ და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ის სამწუხარო მოვლენა წრევანდელს ახალს ქალაქის არჩევანებზედ აღარ გამეორდება, რომელმაც, რა დასამალია, დიდი უსიამოვნება ჩამოაგდო 1893 წელს,

ლ. ლევანიძე.

## შავი ჭირი

გაზეთებს ძლიერ ცუდი ამბები მოაქვთ: ინდოეთში ქალაქ ბომბეისა და მის მიდამოებში საშინლად მძვინვარებს შავი ჭირი. იხოცება ყოველ დღე მრავალი ხალხი. მცხოვრებლები ძლიერ დაშინებულნი არიან; მრავალი ხალხი გარბის ქალაქიდგან, მაგრამ ისე არის მთელი იქაურობა მოდებული ჭირით, რომ შველა ამით მაინც არ არის. ეს ავადმყოფობა იმდენად საშიშია, რომ ყველა სახელმწიფოები ძლიერ დაფიქრებულნი არიან და სცდილობენ რაიმე საშუალება მიიღონ, რომ ეს ჭირი ინდოეთიდგან სხვაგან არ გადავიდეს. რუსეთის მთავრობაც დიდ ყურადღებას აქცევს. ამ დღეებში ორმოცამდე ექიმი გაემგზავრება სპარსეთისკენ, რომ რიგიანად ადევნონ თვალყური ამ სენის გავრცელებასა და მიმდინარეობას.

თუ რამდენად მძვინვარებს ეს სენი ინდოეთის ქალაქს ბომბეიში, ეს იქიდგან სჩანს, რომ ყოველ დღე თითქმის ათასი კაცი იხოცება. ერთი უმთავრეს თვისებათაგანი შავის ჭირისა ის არის, რომ საშინლად გადამდებია. მაგალითად, როდესაც 1721 წელს ტულონში გაჩნდა შავი ჭირი 26276 მცხოვრებლებიდგან მხოლოდ ერთი მესამედი გადურჩა სიკვდილს, ესენიც იმიტომ-რომ აქეთ-იქით გაიფანტნენ. ამავე გადამდებ სენის დროს საფრანგეთის პროვინცია პროვანსში სულ მთლად ამოწყდა მთელი ქალაქები და სოფლები.

სამკურნალო მეცნიერების ისტორიაში შავი ჭირი ევროპაში პირველად აღნიშნულია მეექვსე საუკუნეში; მას შემდეგ ბევრჯელ ყოფილა ეს სენი ევროპაში.

მეთორმეტე საუკუნეში შავმა ჭირმა მოიარა მთელი მაშინდელი სახელმწიფოები და მთლად გაანადგურა კაცობრიობა; სახელად უწოდეს „შავი სიკვდილი“, მთელს კაცობრიობის ისტორიაში ეს ხანა არის, ესაშინლესი ხანა, რომლის გახსენებაც კი ადამიანს შიშის ზარს ჰგვრის.

1841 წლიდგან შავი ჭირი სრულიად მოისპო ევროპაში და არც ერთხელ აღარ გაჩენილა; თუმცა აფრიკასა და აზიაში დრო გამოშვებით თავს იჩენდა ხოლმე, მაგრამ ყოველთვის სუსტად. ამიტომ ევროპაში აქამომდე შავი ჭირი თითქმის მოსპობილ სენად მიაჩნდათ. კიდეც ეს არის მიზეზი, რომ ჩვენის დროის სამკურნალო მეცნიერება სუსტად იცნობს ამ სენს. ვერც ერთს სამკურნალო თხზულებაში ვერა ჰნახავთ ამ სენის რიგიან აღწერილობას.

ის უმთავრესი საგანი—თუ როგორ ვრცელდება შავის ჭირის შხამი, ჯერ რიგიანად არარის აგამოკვლეული. თითქმის ყველგან მიღებულია ის აზრი, რომ ეს სენი გადადის ერთისაგან მეორეზედ; შავი ჭირი ამიტომ ითვლება კონტაგიურ—გადამდებ სენთა პროტოტიპად,—პირველ სახედ.

ამას უნდა დაუმატოთ, ბევრჯელ გამოთქმულა ის აზრი—რომ ეს ჭირი ვრცელდება ავადმყოფებით-კი არა, არამედ მიზეზი მისის გავრცელებისა ჰაერია და ჰიგიენური მდგომარეობა იმ ადგილებისა, სადაც ეს ავადმყოფობა. მაგალითად, პროკოპის და ევაგრის ცნობები მოჰყავთ იმ შავი ჭირის შესახებ, რომელიც მეთოთხმეტე საუკუნეში მძვინვარებდა! ექიმები მღვდლები და მოხელენი, რომლებსაც მუდმივი ერთობა ჰქონდათ ავადმყოფებთან, ძლიერ იშვიათად ხდებოდნენ ავათ, იმათზედ უფრო იშვიათად, რომელნიც ქალაქებიდგან გარბოდნენ. ევაგრი ამბობს, რომ ხშირად რომელსამე ადგილას შემოიტანდნენ ჭირს ისინი, რომლებიც თითონ საღნი რჩებოდნენ ამ სენისაგანაო. ყველანი იმ აზრისანი არიან, რომ სენი ერთმანეთზედ გადადის ტანისამოსით და სხვა-და-სხვა ნივთების შემწეობითაო.

როგორც-კი გაჩნდებოდა შავი ჭირი ევროპის რომელსამე ქალაქში, მაშინათვე ქალაქს ჯარს შემოარტყავდნენ ხოლმე; ქალაქის გარშემო სთხრიდნენ დიდს ორმოს, ასე რომ სრულიად ისპობოდა ყოველივე მისვლა-მოსვლა ქალაქთან. ჯარს ნაბძანები ჰქონდა, პირდაპირ თოფებით მოკალით, ვინც-კი დაუკითხავად გამოჩნდება ქალაქიდგანაო. მართლაც „კარანტინებმა“ დიდი დახმარება აღმოუჩინა ევროპას.

რაც შეეხება თვით ამ სენის მიმდინარეობას უნდა შევნიშნოთ, რომ არც ერთი სენთაგანი, რომელიც კაცობრიობამ იცის, არ არის ისეთი მომაკვდინებელი და საშინელი, როგორც შავი ჭირი: ამ სენით ადამიანი 3—4 დღეზედ კვდება; თუ სამს დღეს გადურჩა, მერმე იმდენად საშიში აღარ არის.

შავს ჭირსაც აღმოუჩინეს თავისი ბაცილა, რომელიც არის მიზეზი ამ სენისა. Jersin—მეცნიერმან აღმოაჩინა ჩხირის მგზავსი ბაცილა შავი ჭირისა Hongkong—ოში. ამ უკანასკნელს ხანს შემოიღეს აგრეთვე აცრაც; პირველად აუცრეს ერთს თვრამეტის წლის ჩინელს ამ ზაფხულს; პირველმა ცდამ მშვენივრად ჩაიარა. ამას მოჰყვა კიდევ ორი ცდა. აუცრეს ორს სხვა ჩინელს შავის ჭირით ავადმყოფებს, და—ესენიც მორჩნენ ამ სენისაგან აცრის წყალობით. პროფესორი ჰავკინი პარიზიდგან საგანგებოდ წავიდა ბომ-

# ფელეტონი

## ჩალის სკამების მწვნელი ქალი

(გიუ დე-მოპასანისა)

მარკიზ დე-ბეტრანის სადილი, გამართული სანადიროდ გამგზავრებამდე, ის იყო თავდებოდა. თორმეტი მონადირე, ამათში რვა ქალი და ერთიც ადგილობრივი ექიმი, შემოსხდომოდნენ გრძელს გაჩაღებულს, მაგიდას, რომელზედაც ხილი და ყვავილები ელაგა. ლაპარაკი ჩამოვარდა სიყვარულის შესახებ, ატყდა დიდი და საზოგადო დაუბოლოვებელი ბაასი იმის შესახებ, შეიძლება თუ არა ადამიანმა იგრძნოს რამდენჯერმე ნამდვილი სიყვარული, თუ მხოლოდ ერთხელ გამოივლის სიყვარულს, მთელს თავის სიცოცხლეშიო. ჩამოსთვალეს იმათ სახელები, რომელთაც თავიანთ სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ ჰყვარებიათ ნამდვილის სიყვარულით. მოიგონეს აგრეთვე ისინიც, ვისაც სიყვარული, ნამდვილი ცხოველი სიყვარული უგრძნიათ რამდენჯერმე. კაცები საზოგადოდ ამტკიცებდნენ, რომ ვნებათა ღელვა, როგორც ყოველი ავადმყოფობა, შეიძლება მოუბრუნდეს რამდენჯერმე ერთად და იმავე ადამიანს უწინდელისავე სიმძლავრით, ისეთის სიძლიერით, რომ თუ ამ გრძნობას გადაეხიდა წინ რაიმე დამაბრკოლებელი მიზეზი, შესაძლოა თვით სიცოცხლეც განსაცდელში ჩააგდოს. თუმცა ეს აზრი ვერავინ უარ-ჰყო, მაინც ქალები, რომელთა აზრი დამყარებული იყო უფრო პოეზიაზედ, ვიდრე ამ გრძნობის ცოდნასა და შესწავლაზედ, ამტკიცებდნენ, რომ სიყვარული, ნამდვილი სიყვარული, უდიდესი სიყვარული უნდა ეგრძნოს ადამიანს მხოლოდ ერთხელ: ასეთი სიყვარული შეედარებაო მეხს და ის გული, რომელსაც-კი დაეცემა ასეთი მეხი, გადიბუგება, განადგურდება, და გადიწვის. ასეთი გული არამც თუ ვეღარ იგრძნობს შემდეგ ვერავითარს მაღალს გრძნობას, არამედ ვერ შეითვისებს სრულიად სუსტადაცკიო. მარკიზი, რომელიც ბევრჯელ დასწაფებოდა სიყვარულს, დიდის თავ-გამოდებით უარ-ჰყოფდა ამ აზრს.

— მე გარწმუნებთ, რომ შეიძლება კაცმა რამდენჯერმე იგრძნოს სიყვარული. იმის დასამტკიცებლად, რომ მხოლოდ ერთხელ შეიძლება სიყვარულიო, თქვენ ასახელებთ მაგალითად იმათ, რომელთაც სიყვარულისათვის სიცოცხლე შეუწირავთ. მე-კი მოგახსენებთ, იმათ რომ სისულელე არ ჩაედინათ და თავები არ დაეხოცათ, სიყვარულითვე განიკურნებოდნენ; იმათ შეეძლოთ სიყვარული განეახლებინათ იმდენჯერ, რამდენჯერაც მოასწრობდნენ სიკვდილამდე. ამ მხრით სიყვარულით გატაცებულნი ძალიან ჰგვანან ლოთებს, ვისაც უსვამს—კიდევ დალევს, ვისაც ჰყვარებია—ეყვარება. ასეთია ბუნება ადამიანისა.

ამ ორის სხვა-და-სხვა აზრის მომხრეებმა მედიატორად აირჩიეს ადგილობრივი ექიმი, დიდად მეცნიერი კაცი და სთხოვეს იმასაც თავისი აზრი წარმოეთქვა. როგორც აღმოჩნდა, ექიმს ამ საგნის შესახებ არავითარი აზრი არ ჰქონდა გარდაწყვეტილი.

— როგორც მარკიზმა ბრძანა, სიყვარული დამოკიდებულია კაცის ბუნებაზედ; მე ვიყავი მოწმე ერთის ისეთის მაგალითისა, რომ სიყვარულის გრძნობამ გასტანა უცვლელად და შეუწყვეტლად ორმოც-და-ათი წელიწადი და ბოლოს განქრა მხოლოდ მაშინ, როცა ამ გრძნობით შეპყრობილს ბოლო მოეღო. მარკიზის მეუღლემ სიამოვნებით ტაშის კვრა დაიწყო.

— რა მშვენიერი მაგალითია! ამაზედ უკეთესი განა კიდევ იქნება, რომ წინადვე იცოდე, რაოდენადაც უყვარხარ ადამიანს. რა ნეტარებაა იცხოვროთ ორმოც-და-ათი წელიწადი გატაცებული მომხიბლავის გრძნობით! რა ნაირად უნდა ლოცავდეს ცხოვრებას, რა ბედნიერი უნდა იყოს ის, ვინც ყოფილა საგანი ამ გვარის სიყვარულისა!

ექიმმა გაიღიმა.

დიაღაც, ბატონო ჩემო, თქვენ არა სცდებით ამ შემთხვევაში საგანი სიყვარულის მამაკაცი იყო. თქვენ იმას იცნობთ, იგი ამ დაბის აფთიაქის პატრონი ბ-ნი შოკე არის. ქალსაც იცნობთ: იგი ძველ სკამების დამკერებელი მოხუცებული ქალია, რომელიც ყოველს წელიწადს მოდიოდა ამ სახლშიაც-კი. მაგრამ მე მსურს გაგაგებინოთ უფრო დაწვრილებით შინაარსი ამ ამბისა.

ქალების აღტაცებას ცოტა არ იყოს ფრთები ჩამოეშვა, და იმათი მოწყენილი სახე ცხადად ამბობდა: „უუჰ“! თითქო სიყვარული მხოლოდ მაღალი საზოგადოების კუთვნილება იყოსო.

ექიმმა განაგრძო:

— ამ სამისს თვის წინად, როცა ის მოხუცებული ქალი უკანასკნელს დღეში იმყოფებოდა, მე და მღვდელი მოგვიწვიეს. ის ერთის დღის წინად ჩამოსულიყო თავისს უზარ-მაზარის ოთახის მგზავსის ეტლით და თან მოჰყოლოდნენ მისნი განუშორებელნი მეგობარნი და მცველნი—ორი დიდი შავი ძაღლი. მღვდელი ჩემზედ ადრე მისულიყო. ქალმა ჩვენ აღმოგვირჩია თავისის ანდერძის აღმასრულებლად და რომ უფრო კარგად შეგვეგნო იმისი უკანასკნელი სურვილი, იმან თავისი ცხოვრება გვიამბო. ამაზედ უცნაური და მასთან გასაოცარი არა გამიგია-რა. იმის დედ-მამას ხელობად ჰქონდა თურმე ძველის სკამების შეკეთება. არას დროს არა ჰქონიათ საკუთარი სახლი და არც უცხოვრიათ ჩვეულებრივს სახლში. ხვლიკისავით ჩამოწრიოკებული, საზიზღარი, ფალასფულასებში გახვეული, ის პატარაობიდგანვე მაწანწალაობას იყო შეჩვეული. იმის მშობლები სოფლის ან ქალაქის ახლო ღელე-ხევებში ჩერდებოდნენ; გამოუშვებდნენ ცხენს საძოვრად მინდორში; ძაღლები წამოეყრებოდნენ ეტლის თვლების გვერდზედ და ისე იძინებდნენ; პატარა ქალი დარბოდა ბალახებში და ამ დროს იმისი დედ-მამა აკეთებდა დაგლეჯილს სკამებს იქვე გზის პირად, ხის ჩრდილში. ამ მოძრავ ოჯახში ლაპარაკი არ უყვარდათ. თუ იტყოდნენ რასმეს, ისიც მხოლოდ იმას, თუ ვისი რიგია დაიაროს სო-

ბეიში აცრის საცდელად და, როგორც ცნობები მოდის იქიდგან, ძლიერ ჰშველის თურმე აცრა შავის ჭირით ავადმყოფებს. თუ რომ ეს აცრა ნამდვილი გამოდგა, მაშინ შავი ჭირი ისე საშიში არ იქნება, როგორც ეხლა არის.

ხოლო რაც შეეხება იმას, მოაღწევს ჩვენამდის თუ არა ეს სენი, ამისი თქმა ძნელია, მაგრამ ამის უარ-ყოფა მაინც არ შეიძლება. ამიტომაც არის, რომ ჩვენი მთავრობა ასე მხურვალედ შეუდგა კარანტინების დაარსებას თავისს აზიის საზღვრებზედ.

„შავი ჭირი“ ქართულად კარგად არის თქმული: როდესაც ადამიანი ამ სენით არის შეპყრობილი, მეორე-მესამე დღეს დაუსივდება ჯირყვლები და შემდეგ დაუჩირქდება, ასე რომ მთელს ტანს შავი ფერი ეძლევა. ეხლა ამ გვარი სურათი იშვიათია, რადგან სიკვდილი ძლიერ სწრაფია, თუმცა გაზეთები ამბობენ, იმისთანა შემთხვევაც ხშირია, რომ ჯირყვლები უსივდებათ ამ სენით შეპყრობილთ და სხეული უშავდებათო.

ექიმი გ. ბადრიძე.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ).

გრაფი მურავიევის მისვლის მოლოდინმა დიდი ლაპარაკი ასტეხა საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთებში. ბევრმა მათგანმა ის აზრი გამოსთქვა, რომ რუსეთისა და საფრანგეთის მეგობრულ დამოკიდებულებას სრულიადაც არ ეტყობა უწინდელი გულ-წრფელობა; რუსეთი მხოლოდ თავისის საპოლიტიკო გეგმის აღსასრულებლად სარგებლობს საფრანგეთთან მეგობრულის დამოკიდებულებითაო და სხვა... აი რასა სწერდა, მაგალითებრ, როიალისტების გაზეთი „Gaulois“-ი სწორედ მაშინ, როცა საფრანგეთში დაიწყეს ლაპარაკი რუსეთის მინისტრის მისვლის შესახებ:

ოსმალეთის საქმეთა შესახებ მოლაპარაკების დროს ცხადად აღმოჩნდა, რომ დიდ სახელმწიფოთა შორის საფრანგეთი უკანასკნელ ადგილს იჭერს. მართალია აღმოსავლეთში თვალ-საჩინო ცვლილებანი მოხდა, მაგრამ ამ ცვლილებებით საფრანგეთს არაფერი არ მოუპოვებია. რუსეთის პოლიტიკას აზრადა აქვს რაც შეიძლება მეტად ისარგებლოს საფრანგეთთან მეგობრობით, საფრანგეთი კი ამას ვერ ახერხებს. იმისდა მიუხედავად, რომ საფრანგეთს შეუძლია მილიონი შეთოფ-იარაღებული კაცი გამოიყვანოს ბრძოლის ველზედ და 30 ჩინებულად გაწყობილი ჯავშნიანი ხომალდი, მაინც იგი სხვა დიდთა სახელმწიფოთა შორის მხოლოდ მხლებლის როლის აღმსრულებელია. აღმოსავლეთის საქმეშიაც ვერ უჭირავს საფრანგეთს თვალ-საჩინო ადგილი. საქმე იქამდე მივიდა, რომ საფრანგეთს ორი ბატონი გაუჩნდა ეხლა—გერმანია და იმისი მეგობარი—რუსეთიო“.

**

რუსეთის ჟურნალ-გაზეთებსა და სამმართველო სფერაში ხანგრძლივი ლაპარაკი გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ რუსეთის ერთ-ერთ სოფელში, სასოფლო სამმართველოს მწერლად განათლებული ახალგაზრდა ქალი არისო. საქმე იქამდე მივიდა, რომ ახალგაზრდა ქალი ადგილიდამაც დაითხოვეს, რადგანაც კანონში არაფერი სწერია იმის შესახებ, აქვს თუ არა დედაკაცს უფლება ასეთი სამსახურის აღსრულებისაო. სწორედ ამ დროს შეერთებულ შტატებში დედაკაცი სენატორადაც-კი აირჩიეს. მორმონის შტატმა, უტმა დედაკაცი აირჩია სენატორად. აი ახალი სენატორიო, ამბობს გაზ. „გლას ნოსტ“-ი:

„მართა კანნონი არის მეოთხე ცოლი თავისის ქმრისა. როცა მას სენატორად ირჩევდნენ, მოწინააღმდეგეთა შორის თითონ იმისი ქმარიც ერია. მაგრამ ნიჭიერმა დედაკაცმა ჩინებულად დაამარცხა იგი და არჩეული იქმნა ამ საპატიო ადგილზედ. ეს ქალი სულ 35 წლის არის; ხელობით ექიმია და ჩინებული პრაქტიკაცა აქვს თურმე. როგორც თვითონ უთქვამს, ძალიან მეგობრულად თურმე ცხოვრობს თავისის ქმრის პირველ ცოლებთან“.

## რუსეთი

გაზ. „S.-Petersburgez Zeitung“-ის სიტყვით, ივლისში პეტერბურგს მივა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ბ-ნი ფელიქს ფორი. პრეზიდენტის მხლებელთა შორის იქნებიან გენერლები ბუადეფრი და ტურნიე და ადმირალი ჟერვე.

—

ამა მიმდინარე წლის შემოდგომაზედ სახელმწიფო საბჭო განიხილავს მოხსენებას სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებზედ ბაჟის გაწესების შესახებ.

—

ვარშავის პოლონიური გაზეთებიდგან შეუტყვია „ნოვოე ვრემია“-ს, რომ პრივისლიანის გუბერნიებიდგან ამ უკანასკნელ ხანებში მრავალნი ებრაელნი მიემგზავრებიან თურმე აფრიკაში ბედის საცდელადაო. ამერიკა ისე აღარ იზიდავს ახლა ებრაელებს, როგორც წინად და ამიტომ აფრიკაში გადასახლებას არჩევენო. ეს გადასახლება იმდენად გაძლიერდა, რომ პრივისლიანის მრავალს ადგილებში ებრაელთა შორის მამაკაცებს იშვიათად-ღა შეხვდებით და ალებმიცემობა ქალებისა და ბავშვების ხელშიაო.

—

პეტერბურგის ერობამ გაიზრახა მთელს გუბერნიაში წერა-კითხვის სკოლები დაემართა და იმავე წესით მოეწყო იქ სწავლა, როგორც ეს მიღებულია სხვა საერობო სკოლებშიო, მაგრამ, როგორც „ს.-პეტერბ. ვედომ.“-ი იუწყება, შინაგან საქმეთა მინისტრს უარი უთქვას პეტერბურგის ერობისათვის და მისი შუამდგომლობა არ დაუკმაყოფილებია.

—

უწმიდესს სინოდთან დაარსებულის სამოსწავლო საბჭოს გარდაუწყვეტია ამ მომავალ წლიდგან წლიურად 500 მანეთს მისცემს იმ ოც-და-ათს სამრევლო სასწავლებელს, რომელიც საეპარქიო სასწავლებელთან არის დაარსებული.

—

ლონდონში შემდგარი სწავლულთა საზოგადოება, რომელსაც საგნად აქვს ბოშების ეთნოგრაფიის შესწავლა, ამ წელს რამდენსამე თავისს წევრსა ჰგზავნის რუსეთში მასალის შესაგროვებლად და ბოშების ისტორიის, ნეზ ჩვეულებისა და ზეპირ-სიტყვიერების შესასწავლად.

—

მიწათ-მოქმედების სამინისტრომ აღძრა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ საჭიროა მოვამზადოთ განსაკუთრებით მცოდნე მიკოლოგებიო, რადგანც შარშან დაწყებული გამოკვლევა მცენარეების ავადმყოფობის შესახებ უკვე დაიშალა, რადგან საქმის მცოდნენი არ აღმოჩნდნენო.

### ექიმთა კრება რუსეთში.

15 იანვარს საექიმო დეპარტამენტში შინაგან საქმეთა მინისტრის თანდასწრებით, დაიწყო უმაღლესად ნება დართული ექიმთა კრება. რომელმაც უნდა შეიმუშაოს საშუალება სიფილისის წინააღმდეგ.

კრებაზე მიწვეულ იყვნენ: საექიმო ადმინისტრაციის წარმომადგენელნი, თითო კაცი გუბერნიიდგან, თითქმის ყველა სამინისტროებისა, ქალაქებისა, ერობათა და სხვა-და-სხვა საზოგადოებათა წარმომადგენელნი.

კრებას დაესწრო 346 კაცი. სხდომა დაიწყო შინაგან საქმეთა მინისტრის სიტვით, რომელსაც დახლოებით აქვე გავაცნობთ მკითხველებს.

„ბატონებო! უმაღლესად ჩემდამო მონდობილ უწყების სხვა-და-სხვა ფრიად ძნელ საქმეთა შორის ხალხის ჯან-მრთელობის საქმე ერთ თვალსაჩინო ალაგს იჭერს. როგორც მოგეხსენებათ, სიფილისი ერთი იმ საშინელ სენთაგანია, რომელიცთანდათანვრცელდება ხალხში და რომლის წინააღმდეგაც საჭიროა მოსაზრებული და მოფიქრებული ბრძოლა. ჩემმა პატივცემულმა წინა მოადგილემ სტატსკი სეკრეტარმა დურნოვომ 1896 წ 16 მარტს გამოითხოვა უმაღლესი ნებართვა დღევანდელ კრების მოსაწვევად. რა თქმა უნდა ჩემს წინამოადგილეს სახეში ჰქონდა, რომ მცოდნეთ და გამოცდილთ რომელნიც, დღეს აქ ამშვენებენ ამ პატივცემულ კრებას, შეერთებულის ძალით გამოერკვითსაუკეთესო ღონისძიებით ამ საშინელისენის წინააღმდეგ. საექიმო დეპარტამენტმაც ამ ხნის განმავლობაში მრავალი მასალა შეაგროვა ამ საგნის გამოსარკვევად. დეპარტამენტის დირექტორი უფრო დაწვრილებით განგვიმარტებს, თუ რას უნდა მიაქციოს უმთავრესი ყურადღება პატივცემულმა კრებამ. მე კი ჩემის მხრით, მგონია, რომ უსაჭიროესი და უძვირფასესი შედეგი თქვენის შრომისა იქნება კრების მიერ გამორკვევა და შედგენა ნამდვილისა და საქმიანის გეგმის სიფილისთან საბრძოლველად. მე ბედნიერად ჩავთვლი ჩემს თავს, თუ ეს კრება მოგვცემს ისეთს პრაქტიკულს სამოქმედო პროგრამას, რომლითაც მე და ჩემს თანამშრომლებს შეგვეძლოს ვისარგებლოდ ყველა ჩვენთვის თანასწორად ძვირფასისა და საყვარელი სამშობლოს საკეთილ დღეოდ.“

მინისტრის სიტყვების შემდეგ კრების თავმჯდომარემ, საექიმო დეპარტამენტის დირექტორმა ლ. ფ. როგოზინმა, კრებას გააცნო საქმის გა-

---

ფელი და კარ და კარ იყვიროს „სკამების მკეთებელიო!“ შემდეგ დასხდებოდნენ ან ერთი ერთმანეთის გვერდით, ან ერთმანერთის პირდაპირ და დაიწყობდნენ ჩალის შემზადებას. ხანდახან, როდესაც პატარა ქალი ძალიან შორს მიდიოდა, ან როდესაც ის უმეგობრდებოდა სოფლის გიჟმაჟა ბიჭებს, გაისმოდა ხოლმე ბრაზიანი ხმა მამისა: „მოხვალ თუ არა ჩვენთან, შე გარყვნილო!“ აი მხოლოდ ეს იყო ალერსი პატარასი.

წამოიზარდა თუ არა, დედ-მამა გზავნიდა იმას სკამების მოსატანად. ამ დროს ეძლეოდა შემთხვევა გაეცნო სხვა-და-სხვა ადგილისა და ქუჩის ბიჭები. მხოლოდ შეამჩნევდნენ თუ არა, რომ ის ელაპარაკებოდა თავისს ახალს მეგობრებს, ყმაწვილების დედ-მამანი შეჰკივლებდნენ ხოლმე: „მოხვალთ თუ არა სახლში. თქვე ცელქებო! არ გაბედოთ და არ გამოელაპარაკოთ მაგ ფეხ-შიშველა მაწანწალასა!..“

ბევრჯელ ბიჭ ბუჭები ქვებსაც ესროდნენ. ქალები-კი იბრალებდნენ და აძლევდნენ გროშებს, რომლებსაც სიფრთხილით აგროვებდა და უბეში ინახავდა. ერთს დღეს—მაშინ თორთმეტის წლისა იქნებოდა—ის შეაკდა სასაფლაოს ბოლოში შუკეს, რომელიც გაცხარებული ტიროდა, რადგან ამხანაგს ოქროს ფული წაერთმია. პატარა ბიჭის ცრემლებმა სრულიად დაუბნია ქალს გონება, რადგან ვერ წარმოედგინა, რომ ბედნიერი ბავშვებიც იგრძნობენ უსიამოვნებასაო. პატარა ქალი მიუახლოვდა და როდესაც გაიგო ტირილის მიზეზი, აიღო და გადასცა თავისი ვაივაგლახით მოგროვილი შვიდი სუ *). ბავშვმა, რასაკვირველია, საჩუქარი გამოართვა და თან ცრემლები შეიწმინდა. მაშინ სიხარულით აღტაცებული ქალი მამაცურად გადაეხვია და აკოცა ყმაწვილს. ყმაწვილმა, ფულის სინჯვაში გართულმა, ადვილად მისცა კოცნის ნება; რაკი ქალმა ნახა, რომ ამ საქციელისათვის არა მცემსო და არც მომიშორეს ხელის კვრითაო, ისე გათამამდა, რომ განმეორებით დაუწყო კოცნა უფრო მხურვალედ, უფრო გატაცებით. შემდეგ ქალი გაიქცა და დედ-მამისაკენ გასწია.

რა მოხდა იმ უბედური გონებაში? რად შეუვარდა ამ ყმაწვილზედ გული? იმიტომ რომ იმას შესწირა ვაივაგლახით ნაშოვნი ფული; ან იქნება იმიტომ, რომ ყმაწვილმა გამოსტყუა თავისი პირველი ნაზი კოცნა? ფარული მიზეზი ამ მოვლენისა ერთი და იგივეა დიდებისთვისაცა და პატარაებისთვისაც.

რამდენისამე თვის განმავლობაში ქალი ოცნებობდა, თვალ-წინ ედგა ის ყმაწვილი და სასაფლაოც. იმ აზრით, რომ იმ ყმაწვილს კიდევ შევხვდები და იქნება ფული დასჭირდესო. პატარა ქალმა დაიწყო დედ-მამის ცარცვა, პარვა თითო სუობით, როცა-კი ამათი ფული ჩავუვარდებოდა ხოლმე ხელში სურსათის სასყიდლად. როცა ისინი დაბრუნდნენ ამ ადგილებში, პატარა ქალს ჯიბეში ჰქონდა ორი ფრანკი *) აქ იმან დაინახა თავისი პაწია ბატონი, სუფთად ჩაცმული მამის საათიაქო მაღაზიის ფანჯრის უკან წითელსა და ლურჯ ბოთლებს შუა. მშვენიერი ფერადის წყლით და ბრწყინვალე ლითონებით აღტაცებულმა პატარა ქალმა უფრო ძალიან შეიყვარა თავისი სატრფო.

ამ გრძნობამ მკვიდრად მოიკიდა ბინა იმის გულში და როდესაც, ერთის წლის შემდეგ, შეხვდა სასწავლებლის გვერდზედ ყმაწვილს, შემოავლო კისერზედ ხელები და ისეთი საშინელის სიმძლავრით დაუწყო კოცნა, რომ ყმაწვილმა შიშით ყვირილი მორთო. მაშინ დასამშვიდებლად ქალმა საჩქაროდ გადასცა ფული: სამი ფრანკი და ოცი სანტიმი. ეს ხომ მთელი საუნჯე იყო, რომელსაც თვალებ დაჭყეტილმა ყმაწვილმა გაოცებით დაუწყო სინჯვა. ყმაწვილმა ფული აიღო და ქალს მისცა ნება იმდენი ეალერსნა, რამდენიც უნდოდა.

ოთხის წლის განმავლობაში ქალი აძლევდა ამ გვარად ფულს, რომელსაც ყმაწვილი ჯიბეში ილაგებდა სრულიად დარწმუნებული, რომ ეს ფული ფასია იმისი, რომ მკოცნის და მეალერსებაო. ერთხელ მისცა ოც-და-ათი სუ, მეორედ—ორი ფრანკი, ერთხელ კიდევ მხოლო თორმეტი სუ (სირცხვილით თითონაც ბევრი იტირა, მაგრამ რა ექნა, იმ წელიწადს მეტი ვერ ეშოვნა), და უკანასკნელად ხუთ ფრანკიანი ვერცხლის მედალიონის მსგავსი საუნჯე. ამ ხუთ-ფრანკიანის მიღების დროს ყმაწვილმა კმაყოფილების ღიმილით შეჰხედა ქალს.

ქალი სულ იმ ყმაწვილის ფიქრში იყო; ყმაწვილიც მოუთმენლად ელოდა იმის დაბრუნებას, გაურბენდ გამოურბენდა ხოლმე წინ და მით ყმაწვილს ქალს გულს სასიამოვნოდ უჩქროლებდა.

შემდეგში ყმაწვილი ძნელად სანახავი გახდა. ის გიმნაზიაში მიებარებინათ. ეს გარემოება ქალმა გაიგო დიდის და მოხერხებულის გამოკითხვით: რამდენი ეშმაკობა არ იხმარა, რომ შეეცვლევინებინა დედმამისათვის ჩვეულებრივი მოგზაურობა და გაებედვინებინა მოსულიყვნენ ამ ადგილებში საზაფხულოდ და არა საზამთროდ. გაიმარჯვა ქალმა, მაგრამ ერთის წლის ეშმაკობის შემდეგ კი ქალმა თითქმის ორის წლის განმავლობაში ვეღარა ნახა პატარა შოკე და როცა ნახა, ძლივს იცნო, ისე გაზრდილიყო, გალამაზებულიყო და შეცვლილიყო გიმნაზისტის ოქროს ღილებიან ტანისამოსში.

ყმაწვილმა თუმცა იცნო, მაგრამ თავი ისე დაიჭირა, ვითომ ვერ შევნიშნეო და გვერდზედ ამაყად ჩაუარა. ამ მიზეზით ქალმა ორი დღე იტირა და მას შემდეგ დაუსრულებელს ტანჯვას მიეცა.

ყოველს წელს ქალი ბრუნდებოდა ამ ადგილებში; გაუვლიდა ხოლმე ყმაწვილს წინ, მაგრამ სახეში შეხედვას ვერ უბედავდა და თვით ყმაწვილიც აღარა ხდიდა ალერსის ღირსად. ქალს-კი იგი განუსაზღვრელად უყვარდა. თვითვე მითხრა: „ის იყო მხოლოდ ერთად-ერთი კაცი, რომელიც დედამიწის ზურგზედ შევამჩნიე ბატონო ექიმო. მე არც-კი ვიცი, არსებობენ სხვა კაცები ამ ქვეყნად, თუ არაო“.

(დასასრული იქნება).

*) კაპეიკზედ ნაკლებია,

*) ფრანკი—25 კაპ.

რემოება და განუმარტა თუ რა საგნები უნდა გაერჩია კრებას. როგორც შეკრებილი მასალეებიდგან და სასტატისტიკო ცნობებიდანა სჩანს, სიფილისი თანდათან ვრცელდება და ფეხს იკიდებს რუსეთში. აღმოჩნდა, რომ რუსეთში ამ საშინელის სენის წინაალმდეგ ბრძოლა ვერ არის სასურველ ნიადაგზედ დაყენებული. თავმჯდომარემ მოახსენა კრებას, რომ თუ რაიმე სასტიკი და დაუყონებლივი ზომები არ მივიღეთ ამ საშინელ სენის წინაალმდეგ ის თანდათან უფრო მოიკიდებს ფეხსო, უმთავრესი ყურადღება კრებამ უნდა მიაქციოს თვით ამ სენის ბუდეს-პროსტიტუციას.

ამის შემდეგ პროფესორმა ვ. მ. ტარნოვსკიმ ბრძოლის საშუალებების შესახებ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც თვალ-საჩინოდ დაასურათა, თუ რა გამოარკვია მეცნიერებამ სიფილისის შესახებ. „50 წლის წინადო,— სთქვა პროფესორმა: თვით ექიმებმაც კი დაახლოვებით არ იცოდნენ ამ სენის ვითარება და, მაშასადამე, მასთან ბრძოლაც თითქმის შეუძლებლად მიაჩნდათ. დღეს კი, როცა ყოველ უნივერსიტეტთან დაარსებულია სპეციალური კათედრები ამ სენის გამოსარკვევად, და, როცა ეს სენი ასე თუ ისე შესწავლილია, ექიმები უფრო მეცნიერულად მომზადებულები გამოდიან უნივერსიტეტებიდგან და, რა თქმა უნდა, ადვილადაც შეიძლებენ საზოგადოების ღირსეულად სამსახურს.

„ამგვარს გარემოებაში სიფილისთან ბრძოლა ისე ძნელი არ არისო, — განაგრძო ფროფესორმა: მაგრამ მაინც ამ საქმეში ბევრი რამ შეუძლიან თვით საზოგადოებისა და ადმინისტრაციის დახმარებას. თვით დღევანდელი კრება იმისი თავდებია, რომ ადმინისტრაცია თავ-გამოდებით ჰზრუნავს, რათა სასურველს ნიადაგზედ დადგეს ბრძოლა ამ სენის წინაალმდეგ. ეს სენი ერთი უდიდესი მიზეზთაგანია ხალხის ამოწყვეტისა. მაგრამ ყოველი ეს მაინც არ არის საკმაო ჩვენის სურვილის მისაღწევად; საჭიროა თვით საზოგადოებამ შეიგნოს, რომ უმთავრესი და უფრო საუკეთესო საშუალება ამ სენის წინაალმდეგ არის თავდაჭერილობა და მოთმენა. ექიმთა და მასწავლებელთა ზნეობრივს მოვალეობას შეადგენს ჩაუნერგოს გულში ახალს თაობას თავდაჭერილობისა და მოთმინების გრძნობა.

სოფლად მღვდლებმა უნდა აუხსნან და განუმარტონ სამწყსოს ამ სენის დაუღუპველი მნიშვნელობა.

„იმედი უნდა ვიქონიოთო, დაასრულა თავისი სიტყვა პროფესორმა, — რომ დღევანდელი კრება საუკეთესო საშუალებას გამოჰნახავს და საზოგადოებას მისცემს შეძლებას ამ საშინელის სენის წინაალმდეგ ბრძოლისას“.

# უცხოეთი

—

**ისპანია.** სწორედ რომ გაუჭირდა საქმე ისპანიას. ჯერ იყო და კუნძულს კუბაზე აუჯანყდა მას ხალხი და ეს აჯანყება ჯერაც არ შეწყვეტილა; არც არავინ იცის, როდის შესწყდება, ანუ ვის სასარგებლოდ შესწყდება იგი, ე. ი. ისჰანელები დაიმორჩილებენ კუბელებს, თუ ეს უკანასკნელნი ისპანელთ სძლევენ და სრულს თავისუფლებას მთიპოვებენ. შემდეგ იგივე უბედურება მოუვიდათ ისპანელებს სხვა თავიანთ სამფლობელოშიაცა.

შორეულს აღმოსავლეთში მდებარეობს ეგრედ წოდებული ფილიპეს კუნძულები, საცა, ეს რამდენიმე საუკუნეა ისპანია ჰბატონობს. წარსულს წელში ხსენებულს კუნძულების მკვიდრთ დიდი აჯანყება მოახდინეს ისპანელების წინაალმდენ, რომელიც ისპანელებს ჯერაც ვერ ჩაუქრიათ. ამ აჯანყების გამო დიდმა სახელმწიფოებმა, და მათ შორის იაპონიამაც, ყურები აცქვიტეს, იქნება, ისპანიის ეხლანდელის შევიწროებულის მდგომარეობით ვისარგებლოთ და რაიმე ჩამოვაგლიჯოთო. იაპონიის ერთი გავლენიანი გაზეთი ამბობს, რომ გერმანია დიდს ყურადღებას აქცევს ფილიპეს კუნძულზედ მოძრაობას და აზრად აქვს, ეს მოძრაობა თავისს სასარგებლოდ გამოიყენოსო. დიდი ხანია, რაც გერმანიას წადილი აქვს შორეულს აღმოსავლეთში ისეთი ნავთ-საყუდელი მოიპოვოს, რომელიც სრულიად დააკმაყოფილებს მას თვისის ინტერესების დასაცველად აღმოსავლეთის ქვეყნებშიო. ამ საგნის განსახორციელებლად, გერმანიამ ამ ჟამად მარჯვე დრო იპოვნა და ფილიპეს კუნძულზედ აჯანყებას ხელს უწყობს, რომ ამით ისპანია, რომელსაც კუბის კუნძულზედაც აწეწილი აქვს საქმეები, დაასუსტოს და შემდეგ ხსენებულ კუნძულების სამხრეთ ნაწილში მსუქანი ლუკმა იგდოს ხელშიო.

ხსენებულის გაზეთის სიტყვით, ინგლისიც გერმანიისებურად იქცევა და არ უნდა მარჯვე დრო დაჰკარგოს, რომ ფილიპელების აჯანყება თავისს სასარგებლოდ არ გამოიყენოსო. იგივე გაზეთი იაპონელებს ურჩევს, რომ დროა ჩვენც ჩვენს თავზედ ვიზრუნოთ და ბოლოს ხელცარიელები არ დავრჩეთო. მართალია, აქამდის ფილიპელებს ჩვენ ვშველოდით, მაგრამ საგნად ჩვენი პირადი ინტერესი კი არა გვქონია, არამედ გვინდოდა დაჩაგრულის ხალხისთვის თავისუფლება მოგვეპოვებინაო, მაგრამ რადგან კორეში ფეხი ვერ მოვიკიდეთ, ისა სჯობიან — ფილიპეს კუნძულებს ჩამოვაცალოთ რამეო.

—

**ოსმალეთი.** კიევის გაზეთმა „ჟიზნ ი ისკუსტვო“-მ მთელი წერილი უძღვნა ოსმალეთის იმპერიის განაწილების საგანს. ოსმალეთის იმპარიას ჰქონდა ბრწყინვალე ხანაო, ამბობს გაზეთი, როცა მრავალი მეზობელი ხალხი დაიპყრო და თავისი სახელმწიფოს საზღვრები გააფართოა, ამის შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ შინაგან საქმეებს მიაქცევდა ოსმალეთის მთავრობა ყურადღებას, დაპყრობილ ერთა მოწყობას ეცდებოდაო. ყოვლად საჭიროც იყო ოსმალეთისათვის შინაგანი საქმეები განეწეს - რიგეებინა და განვითარების მშვიდს გზას დასდგომოდა, და სახელმწიფოს არსებობისათვის საჭირო დედა აზრთა დაცვას სცდილიყო. სამართლე, კანონიერება და წეს-რიგი, ეს ისეთი რამ არის, ურომლისოდაც არცერთს პოლიტიკურს ორგანიზმს ცხოვრება არ შეუძლიან. ამის და ნაცვლად ოსმალეთის იმპერია მტაცებლობასა და ავაზაკობას იჩემებდა, დაპყრობილ ერთ სიცოცხლეს უჭირვებდა. ამას-კი ის მოყვა, რომ ოსმალეთი დაიხრწნა, თანდათან სიკვდილს უახლოვდება და ამ სიკვდილს ხელს უწყობენ ის ერები, რომელთაც ბევრი ცუდი ახსოვთ ოსმალეთისაგან“.

„ან-კი სხვა რიგად როგორ იქმნებოდა ოსმალეთი, რომლის საზოგადო ვითარება ისლამის სარწმუნოების ზედ გავლენის ქვეშ არის შექმნილი. ყორანი ხომ იმას უბრძანებს ოსმალელებს, გაავრცელეთ თქვენი სჯული ცეცხლითა და მახვილითაო. აღმოსავლეთის იმპერიის ნანგრევებზედ აღაშენა ოსმალეთმა თავისი სახელმწიფო, მაგრამ ხასიათი მისი ცხოვრებისა დიდად განსხვავდებოდა დაპყრობილ ქრისტიანეთა ხასიათისაგან. დღითი-დღე დამპყრობილ ერთა შორის დამოკიდებულობა მწვავდებოდა მის მაგიერად, რომ თანხმობა ჩამოვარდნილიყო. ოსმალეთს რაღა დააჩნდა, ცალის ხელით უნდა დაემორჩილებიან და დაეწყნარებია „ურწმუნო ძაღლთა ხროვა“, როგორც უწოდებდნენ ქრისტიან ერთ, და ცალი ხელით-კი ახალის ერების დაპყრობას სცდილიყო.

„სლავიანთა დამარცხებამ შეჰქმნა ოსმალეთის დიდება, მაგრამ სლავიანებმა მოუღეს ბოლო, დაამარცხეს იგი დიდებაო, განაგრძობს გაზეთი; XVII საუკ. დამლევს პოლონეთის მეფემ იან III დასცა ოსმალეთს ისეთი რისხვა, რომ მის შემდეგ წელში ვეღარ გაიმართა. მას შემდეგ ოსმალეთის იმპერია თან-დათან სუსტდებოდა. პოლონეთის ადგილი რუსეთმა დაიჭირა და ოსმალეთის კლანჭებისაგან სლავიანთა განთავისუფლება თავის საწადელ საგნად აღიარა.

„საბერძნეთის განთავისუფლება 1839 წლისა არის პირველი დასაწყისი ოსმალეთის განაწილებისა, ხოლო ბულგარეთის განთავისუფლება 1878 უკანასკნელი ისტორიული მოალენაა ამ განაწილების წინამორბედი. ასე რომ ოსმალეთის განაწილების აზრი დღეს კი არ დაბადებულა, იგი საუკუნეთა ისტორიულის შრომისა და ფიქრის შედეგია.

„ამ საუკუნის დამლევს აღარ შეიძლება მოთმენა ისეთის სახელმწიფოსი, რომლის ცხოვრება ოპერეტის შინაარს წარმოადგენს, ეს პოლიტიკური ანაქრონიზმია.

ადრე იქნება თუ გვიანო, ამბობს გაზეთი, ვენის დიპლომატიის მმართველნი, რუსეთისა და საფრანგეთის მიერ ამორჩეულ გზას დაადგებიან. მაშინ მოხდება ოსმალეთის განაწილება, მშვიდობიანად და წყნარად, ერთი თოფიც-კი არ გავარდება. გრაფ ბადენის ორგანოს წერილები გვარწმუნებენ, რომ ეს დრო ისე შორს არ არის, როგორც ზოგიერთებსა ჰგონიათ.

ვიმედოვნებთო, დასძენს გაზეთი, რომ ამით დაიწყება მე-XX საუკუნის პოლიტიკური ისტორიაო.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

— მწვავი ხე. ბირმიდამ მიუტანიათ ინდოეთს ერთი ხე, რომელიც კანს ცეცხლსავით სწვავს თურმე. დამწვარის კანის ტკივილი მთელს თვეობით არ ურჩება თურმე ადამიანს. ტკივილი ჰმატულობს წვიმიან დღეს, და მაშინაც როცა დამწვარს ხელს წყალს მიაკარებთ. ბირმელები ძალიან ერიდებიან, ეშინიანთ ამ ხისა და არ ეკარებიან. ცხენი და ძაღლი, თუ როგორმე მიეკარა ამ ხეს, გააფთრდებიან ხოლმე და კბილით იგლეჯენ ხორცსა. (პ. ი ლ.)

***

მგელ-კაცი ინდოეთში. 1888 წელს ერთს სარწმუნოდ ცნობილს კაცს სინგაპურში მცხოვრებს თავისის თვალით უნახავს მგელ-კაცი და აი რას იწერება იგი ერთს ჟურნალში. ამბობენო, რომ ეს საოცარი სულიერი როგორღაც ჩავარდნია ხელში ძუ-მგელსა პატარაობისას და გაუზდია. ბოლოს ვილასაც დაუხსნია მგელისაგან ეს სულიერი და სინგაპურის ახლო სოფელში დაუბინავებია. მეო, ამბობს ამ ამბის მთხრობელი, იგი ვნახე ერთს ქოხში. იგი 20-ს წლისას ჰგვანდაო. მისი მოძრაობა, საქციელი ამტკიცებდა, რომ იგი პირუტყვი ნადირია. სიხარულს და სიამოვნებას, ანუ წყრომას და რისხვას მარტო ღმუილით იჩენდა. სულ დედი-შობილად დადიოდა, ფეხზე დგომაც იცოდა ადამიანურად, ხოლო უფრო ეხერხებოდა სიარული ოთხ-ფეხსავით. ბარძაყების კანი ისეთი სქელი ჰქონდა, თითქო ძროხისა არისო. ღამით ეს მგელ-კაცი შეძვრებოდა თავისს ქოხში და იქ იმალებოდა, დღისით-კი დაწანწალებდა ქუჩებში და იკვებებოდა იმითი, რასაც მკვიდრნი გადმოუყრიდნენ. მცხოვრებთ იგი მიაჩნდა ვითარცა ღმერთებისაგან მოვლენილი. ეძინა ისე მოკრუნჩხული, როგორც ძაღლმა იცის, საბანს არა ჰხმარობდა, თუმცა ჰქონდა-კი. არავის არ ეკარებოდა, არ ეთვისებოდა. არცა არ რაიმე გულის-თქმა ჰქონდა, არც ჭკუა. იმოდენად თავ-შენახული იყო, რამოდენადაც ჭკუით განუვითარებელი. ამ ხუთმეტის წლის წინად, როცა იგი მოიყვანეს სოფელში, ჰცდილობდნენ ესწავლებინათ რამე, ადამიანად ექციათ, მაგრამ ყოველმა ცდამ ამაოდ ჩაიარა. ეხლა არ ვიცით არის კიდევ ცოცხალი, თუ არა. იქნება ეხლაც ცოცხალი იყოსო. (პ. ი ლ.)

***

— ბუმბერაზნი ამერიკის ტყისანი. მეცნიერს ჰენრიხს მეიერს უნახავს უზარმაზარი ხეები სიერა-ნევადის მთებში. ეს უზარ-მაზარი ხეები როგორც სიდიდით ისეც ხნით საოცარნი არიანო. ზოგის მათგანის ხნიერობა გამოუკვლევია ხსენებულს მეცნიერს და გამოსულა, რომ არის ხეები, რომელნიც 4250 წლისანი არიანო. ზოგს მათგანს 60 საჟენი სიმაღლე აქვთ და 411 საჟენი შუშა გამოვაო, ერთის სიტყვით, იმდენი, რასაც ორი დღიური ნაძვის ტყე 80 წელიწადში მისცემს. ერთი ხე უნახავს სიერა-ნევადის მთების წვერზე, რომელსაც 6,500 საჟენი შუშა გამოუვაო. (ნაუჩ. ობოზ.).

***

ვისაც ცხვირიდამ სისხლის დენა აქვს ხოლმე ამისათვის ერთს უებარს წამალს გვაუწყებს ერთი ჟურნალი: დაასორსლეთ ბამბა გრგვლად როგორც პურის გული, დასორსლებული მარცვლები ერთმანეთზედ შეჰკარით ძაფით' წმინდა სკიპიდარში ამოავლეთ, გამოწურეთ და მერმე მით გაიტენეთ იგი ნესტო, საიდამაც სისხლი გდისთ. სისხლი რომ შეგწყდებათ, ნახევარ-საათი მაინც ნესტოდამ ბამბა არ უნდა გამოიღოთ მას მერმედ, რაც სისხლი შეგწყდათ. (ბ. ზ.).

***

აი კიდევ წამალი სურდოსი. მთელი ჩაის ჭიქა აავსეთ წყალით, ნახევარი ჩაის კოვზი მარილი ჩაყარეთ და რომ შიგ გაიხსნას, ლამბაქზე დაასხით და ისე შეისრუტეთ ცხვირში. (ბ. ზ.).

# დეპეშა

21 იანვარი.

**ბერლინი.** 20 იანვარი. გრაფი მურავიევი საღამოს 11 საათზედ წავიდა პეტერბურგს.

**კონსტანტინეპოლი.** მსოფლიო პატრიარქმა უბრძანა სინოდის ოპოზიციის ორს წევრს, გერაკლირსა და ანტიოქიის ეპისკოპოსებს დაუყონებლივ დაბრუნდნენ თავიანთს ეპარქიებში . ეპისკოპოსებმა უარი განაცხადეს და სცდილოადნენ შესულიყვნენ საკათედრო სინოდთან მყოფს სინოდის დარბაზში, რომ თავისს ერთ-მოაზრეებთან ერთად პატრიარქის თანამდებობიდგან გადადგომის საქმე მოეხერხებინათ. ღონის ძიებანია ხმარებული, რომ ქუჩაში დემონსტრაციები არა მოხდეს-რა. საპატრიარქო კრიზისს მოელიან.

**ბომბეი.** შავი ჭირი არა სუსტდება ისევე მძვინვარებს. პირველს თებერვალს 245 სული დაიხოცა. ამ სენმა საპატიმროშიაც შეატანა, რის გამოც განზრახვა აქვთ პატიმარნი ქალაქიდგან მოშორებით გაიყვანონ სადმე. კარაჩში შიშის ზარია შავის ჭირის გაძლიერებისა გამო.

**პეტერბურგი.** უმაღლესი ბრძანებით ტაინი სოვეტნიკი ალექსანდრე იოკიმი დანიშნულ იქმნა საგანგებო დესპანად შვეიცარიაში.

კავკასიის მთავარ-მართებელის თანაშემწე გენერალი ინფანტერიისა გრაფი ტატიშჩევი დანიშნულ იქმნა სამხედრო საბჭოს წევრად.

**ვენა.** გაზ. „პოლიტიკ. კორესპ.“ სწერს, ავსტრიის იმპერატორი სამაგიეროდ ინახულებს ხელმწიფე იმპერატორს აპრილში.

**ციურიხი.** კანტონის საბჭომ 120-ის ხმის უმეტესობით წინაალმდეგ 22-ისა გადასწყვიტა ქალებს ვექილობის უფლება მიეცესო. გათხოვილ ქალისთვის საჭიროა ქმრის ნებართვა.

**კონსტანტინეპოლი.** ის ხმები, რომ ქრისტიანთა და მაჰმადიანთა შორის სისხლის ღვრა მოხდაო, მართალი გამოდგა. კანეის ახლოს ქრისტიანთა სოფელი დასწვეს. ეს შეტაკება იმ განზრახვით მოახდინეს, რომ დიდი სახელმწიფოების მიერ განზრახულს რეფორმებს ხელი შეუშალონ და საბერძნეთის მთავრობას განსაცდელი მიაყენონ.

**კანეია.** კანეიაში მომხდარ აჯანყებას თან მოჰყვა უწესოება რეტიმნოსა და კანეიაში, სადაც მოკლულ იქმნა რიმდენიმე ქრისტიანი და მაჰმადიანი. კონსულებმა ითხოვეს სტაციონერები გამოგზავნეთო.

პეტერბურგის ბირჟა, 22 იანვარს.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . . | 7.50 | — „ | — „ |
| 5%.-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად - აზნაურო ბანკისა . . . | — „ | — „ | 213 |
| $4^1/_2$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | 101 | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | $102^1/_4$ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | $99^1/_8$ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | 102 |
| 5% იმავე ბანკისა. | $99^3/_8$ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | $98^3/_4$ | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — | — | $284^1/_2$ |
| %,5 მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — | — | $260^1/_2$ |